EU4BUSINESS|EBRD Credit Line

European Bank for Reconstruction and Development | EU4Business

წარმატების ისტორია **საქართველო**

ქაღალდის და საბეჭდი პროდუქცია

დეკემბერი, 2023

# უფრო მწვანე ქაღალდის პროდუქცია





| | |
|---|---|
| სესხის ოდენობა | **€ 129,619** |
| გრანტის თანხა | **€ 11,582** |
| ინვესტიცია | მზის ბატარეები |
| ევროპული დირექტივები | განახლებადი ენერგია და ელექტრომაგნიტური თავსებადობა |
| ენერგიის დაზოგვა და სათბურის გაზების ემისიის შემცირება | 388 MWh/y<br>27 tCO2/y |

იმპლემენტაციის კონსულტანტები

RINA GFA Consulting Group

შპს Neoprint-ი 2009 წლიდან აწვდის მომხმარებლებს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მაღალი ხარისხის საბეჭდ პროდუქციას. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მდებარე 2200მ$^2$ საწარმოში კომპანია აწარმოებს მუყაოს და გოფრირებული ქაღალდის პროდუქციას, რომელიც გამოიყენება შენობებში (როგორიცაა მაგ. ქაღალდის სენდვიჩ პანელები) და ასევე შესაფუთ მასალად.

Neoprint-ი ძირითადად ფოკუსირებულია მწვანე წარმოებაზე. წარმოების პროცესები შემუშავებულია, თანამედროვე საწარმოო ხაზების გამოყენებით ნარჩენების მინიმუმამდე შესამცირებლად. ნედლეული არის პრაქტიკულად მხოლოდ ქაღალდის ნარჩენები, შეგროვებული სხვა ბიზნესებიდან, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მუყაოს და სხვა ქაღალდის მასალების იმპორტირების საჭიროებას. შედეგად, კომპანია ამაყობს წელიწადში ათი ათასი ტონა მაკულატურის გადამუშავებით და 7200 ტონა იმპორტის ჩანაცვლებით.

მწვანე წარმოებისადმი ერთგულების კიდევ უფრო მეტად დასაწინაურებლად, Neoprint-მა მოახდინა ინვესტირება მზის ბატარეების ინსტალაციაში ენერგიის მოხმარებისა და ნახშირბადის ემისიების შესამცირებლად. გარდა კომპანიის გარემოზე ზემოქმედებაზე დადებითი გავლენისა, ენერგიის ხარჯების შემდგომი შემცირება ასევე ხელს უწყობს მის კონკურენტუნარიანობას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ამ პროექტის წარმატებით განხორციელების და ვერიფიკაციის შემდეგ კომპანიამ მიიღო სესხის ღირებულების 15% გრანტის წახალისების სახით, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის EU4Business ინიციატივით.

პროექტის განხორციელებით კომპანია ამჟამად აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს, მათ შორის:

- დაბალი ვოლტაჟის და ელექტრომაგნიტური თავსებადობის დირექტივები LVD 2014/35/EU და EMC 2014/30/EU
- განახლებადი ენერგიის დირექტივა 2009/28/EC

**EU4Business-EBRD საკრედიტო ხაზი**

www.eu4business-ebrdcreditline.ge, +995 599 873 687, info.georgia@eu4business-ebrdcreditline.com